

განმარტებითი ბარათი

„საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის მიმართ

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

„ნატო“-სთან ინტეგრაციის პროცესში აუცილებელია გაერთიანებული შტაბის ჩამოყალიბება.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

შეიარაღებული ძალების სახეობების (სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო) საშტაბო მუშაობის კოორდინაციისა და კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით, ნაცვლად შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბისა აუცილებელია ჩამოყალიბდეს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბი. გაერთიანებული შტაბის ჩამოყალიბება თავის მხრივ ხელს შეუწყობს შეიარაღებული ძალების ყველა კომპონენტის ერთიან მაღალ დონეზე საბრძოლო მზადყოფნის შენარჩუნებას.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონის მიხედვით გაერთიანებული შტაბი ფუნქციონალურად გახდება უფრო მეტად დატვირთული, ვინაიდან შტაბში მუდამ იქნებიან სახეობების ოფიცრები. მოხდება მათი შესაძლებლობების მაქსიმალური კოორდინაცია, რაც თავის მხრივ განაპირობებს ბრძოლისუნარიანი ნატოს სტანდარტებთან თავსებადი შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბებას.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ მოითხოვს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოსათვის ახალი ფინანსური ვალდებულებების წარმოქმნას.

ბ.ე) კანონის პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირისათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონის პროექტის მოქმედება.

კანონპროექტის მიღება არ აუარესებს ფინანსურ მდგომარეობას.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრას და შესაბამისად არ აღგენს მისი განსაზღვრის წესს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან.

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის ღირებულებებთან: კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის ღირებულებებს.

გ.ბ) კანონის პროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღება ხელს შეუწყობს საქართველოს „ნატო“-ში იტეგრაციის პროცესს.

გ.გ) კანონის პროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონის პროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებულ ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

და) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცი/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონის პროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონის პროექტის შემუშავებისას გათვალისწინებული იქნა პარტნიორი ქვეყნების მრჩეველებისა და სხვა კომპეტენტური პირების შენიშვნები, ასევე „cubik“-ის ჯგუფის (თავდაცვის სამინისტროსთან არსებული უცხოელ ექსპერტთა ჯგუფი) რეკომენდაციები.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონის პროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი შეფასებები კანონპროექტს არ გააჩნია.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პრეზიდენტი.